ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია ,,ევროპული საქართველო - თბილისი"-ს წევრების:

1. გიორგი გაბაშვილის
2. დათო ჟღენტის
3. ელენე ოზაშვილის

2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია ,,ევროპული საქართველო-თბილისი"-ს წევრებმა 2019 წლის 24 ოქტომბერს საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპული საქართველო-თბილისი"-ს ოთახში გამართეს საჯარო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინეს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხეს ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს და მოისმინეს მათი წინადადებები სამომავლო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია ფრაქციის გაწეული საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ:

1. ფრაქცია ,,ევროპულ საქართველო-თბილისის" ინიციატივით მომზადდა შენიშვნები და წინადადებები 2019 წლის ბიუჯეტის შედგენისას.

წარმოგიდგენთ ფრაქცია ,,ევროპული საქართველო-თბილისის" შენიშვნებს და წინადადებებს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი საჭიროებდა კორექტირებას თითქმის ყველა მიმართულებით იმისათვის, რომ დაფინანსებულიყო უფრო პრიორიტეტული სოციალური თუ ინფრასტრუქტურული პროექტები. ჩვენ გამოვყავით რამოდენიმე მათგანი თუმცა აღნიშნული არ ნიშნავდა, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა სხვა მუხლი მისაღები და უხარვეზო იყო.

წარდგენილი შეთავაზებები:

,,• მიუღებელია შემდეგი მუხლების შემცირება:

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აღდგენა (1 პრიორიტეტით განსაზღვრული მუხლები) შემცირებულია 68 342,5 ლარით 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 174 201,0 ლარი, ხოლო 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია - 105 858,5 ლარი.

2. ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრების მუხლი (2 პრიორიტეტით განსაზღვრული მუხლები) 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 189 434,5 ლარი, 2019 წლის ბიუჯეტისპროექტით განსაზღვრულია - 173 797,7 ლარი.

3. სოციალური დაცვა - მაგალითად შემცირებული კოდი 06 01 12 - ,,c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა - მცირდება 800,0 ლარით. 2018 წ. იყო 1000,0 ლარი და წლევანდელი პროექტით განსაზღვრულია - 200,0 ლარი.

4. შემცირებული - უფასო სასადილოებით მომსახურება (06 02 14) 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 16 830,1 ლარით, 2019 წ. ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია -16 787,9 ლარით.

5. შემცირებულია კოდი 06 02 04 - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია თითქმის განახევრებულია. 2018 წელს იყო - 1352,2 და 2019 წლის პროექტით არის - 841,0 (აქედან საერთოდ განულებულია 06 02 04 02 კოდი - ბავშვების (10-16 წლამდე) კულტურულ-გამაჯანსაღებელი საზაფხულო ბანაკები).

6. განულებული ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა - კოდი 07 02 07

• ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი პროექტების შემცირების ფონზე განსაკუთრებით დაუშვებელია შემდეგი მუხლების ზრდა:

1. მერია-საკრებულოს შენახვის ხარჯი (10 პროერიტეტით გათვალისწინებული მუხლი) იზრდება 189 16,1 ლარით. 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 78 222,0 ლარი, ხოლო 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია - 97 138,1 ლარი.

2. 406 1,8 ლარით იზრდება ქალაქგეგმარებითი ღონისძიებები (ანუ კონცერტები) კოდი 02.07. 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 5 496,3 ლარი, ხოლო 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია - 9 558,1 ლარი.

3. საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07.02.03) იზრდება 132,1 ლარით.

4. იზრდება მერიის რეკლამირების ხარჯები (კოდი 07.02.04) წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მიხედვით გაზრდილია თითქმის 400 000 ლარით.

5. გამგეობების მიერ წარმოდგენილ ინფრასტრუქტურულ სამუშაოების გაანგარიშებაში დიდი სხვაობებია ერთიდაიგივე სამუშაოებზე მითითებულ ფასებს შორის, რაც კვლავ ტოვებს კორუფციისა და ასეულობით ათასი ლარის გაფლანგვის შესაძლებლობას. მაგალითად: ასფალტის ფენა 6+4 2 ფენა სხვადასხვა გამგეობებში მერყეობს 45 - 65 ლარის ფარგლებში; ორმოული შეკეთება სხვადასხვა გამგეობებში მერყეობს 25-54 ლარის ფარგლებში და ა.შ. აღნიშნულის სწორად დაანგარიშების შემთხვევაში დაიზოგება ასეულობით ათასი ლარი და არ იქნება კორუფციული გარიგებების მაღალი რისკი.

შეთავაზებები:

გვსურს თქვენი ყურადღება მივაპყროთ მხოლოდ იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტში ნაწილობრივ მაინც მოაგვარებს მთავარ გამოწვევებს და მათი ასახვა ფინანსურ დოკუმენტში სირთულე არ იქნება.

1. განსაკუთრებით მწვავე რჩება მოსახლეობის სოციალური პრობლემები. მკვეთრად გაუფასურებული ლარი, მნიშვნელოვნად გაზრდილი ფასები, კიდევ უფრო გაღარიბებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობა - ეს მცირე ჩამონათვალი, რაც თბილისელებს კიდევ უფრო ურთულებს ცხოვრებას დედაქალაქში, გვარწმუნებს, რომ მოსახლეობის სოციალური პრობლემების ნაწილობრივ მაინც გადაწყვეტის მიზნით თბილისის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პროგრამა:

- ასაკით პენსიონერებისათვის (თბილისში ასეთი დაახლოებით 203 000 ადამიანია) ყოველთვიური 50 ლარიანი საპენსიო დანამატი. თქვენ უნდა ასახოთ აღნიშნული პროგრამა ბიუჯეტში, რაც მცირე შეღავათი მაინც იქნება თბილისში მაცხოვრებელი პენსიონერებისათვის. ამ პროგრამის განხორციელებას თბილისის ბიუჯეტიდან დაჭირდება 121 800 000 ლარი.

2. უფასო სასადილოებით მომსახურების დღიური ხარჯის გაზრდა (რომელიც ერთ ბენეფიციარზე განსაზღვრულია 1,18) სულ მცირე 3 ლარამდე, ასევე მომლოდინე და დამატებით სიებში მყოფი ბენეფიციარის სულ -7350 - უფასო სასადილოებით მომსახურების უზრუნველყოფა. მოსახლეობის ამ ყველაზე შეჭირვებული ფენის ხარჯზე საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა აბსოლუტურად გაუმართლებელია. შესაბამისად აუცილებელია, რომ ერთის მხრივ გაიზარდოს ბენეფიციართა დღიური ხარჯის ნაწილი და ასევე დაემატოს თანხები მომლოდინე და დამატებით სიებში მყოფი ადამიანების უფასო სასადილოებით მომსახურების უზრუნველსაყოფად. ამისათვის დამატებით საჭიროა დაახლოებით 50 000 000 ლარის გამოყოფა თბილისის ბიუჯეტიდან.

3. ქონების გადასახადის შემცირება 10% - ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი შეფერხებისა თუ სხვა ეკონომიკური სრთულეების პირობებში, ადგილობრივი მეწარმეებისთვის განვითარების უკეთესი წინაპირობების შესაქმნელად, ასევე უცხოური ინვესტიციების მეტი ოდენობით მოსაზიდად არსებული გარემოს გაუმჯობესებისთვის ერთადერთი გამოსავალი გადასახადების შემცირებაა. სწორედ ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით გთავაზობთ ქონების გადასახადის 10 %-ით შემცირებას, რაც ყოველწლიურად ბიზნესისთვის დატოვებულ დაახლოებით 16 000 000 ლარს ნიშნავს.

ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი პროგრამების დაფინანსების მიზნით გთავაზობთ რამდენიმე ძალიან ნათელ მაგალითს:

1. თბილისის მერიამ უარი თქვას წლების განმავლობაში დაუსაბუთებლად გაზრდილ ბიუროკრატიაზე, მნიშვნელოვნად შემცირდეს საოფისე ხარჯები, შტატგარეშე თანამშრომლების გაბერილი რიცხოვნობა, რბილი ავეჯის, სარესტორნო მომსახურებისა თუ ბიუროკრატიის ფუფუნებაზე დახარჯული სხვა თანხები, ჩინოვნიკების ავტოპარკი და მუხლიდან ,,საქონელი და მომსახურება" დაიზოგოს 60 000 000 ლარი მაინც.

2. თბილისის მერიამ უარი თქვას წლების განმავლობაში დაუსაბუთებლად გაზრდილ ბიუროკრატიაზე, და ბიუროკრატიის დაფინანსებისთვის გამოყოფილი ხარჯების შემცირდეს მკვეთრად, კერძოდ თბილისის ბიუჯეტიდან მათ დაფინანსებაზე დაიზოგოს დაახლოებით 20 000 000 ლარი (ბიუჯეტის მეათე პრიორიტეტი).

3. შემცირდეს მერიის რეკლამირების ხარჯები, კონცერტებისთვის განკუთვნილი თანხები;

4. ასევე, გასული წლების მავნე პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ტენდერის გარეშე დახარჯული ასეულობით მილიონი ლარიდან მნიშვენლოვანი ნაწილი გაუმჭირვალე ტენდერების, ერთ პირთან მოლაპარაკებით გაფორმებული ხელშეკრულებებით, ჩინოვნიკების კორუფციული ინტერესებით თუ მათი არაპროფესიონალიზმით იფლაგებოდა. შესაბამისად, კონკრეტული პროექტების განხორციელების შეფერხების გარეშეც კი რეალურია

ქალაქის განვათარებაზე ჯამურად გამოყოფილი მილიონობით ლარიდან დაიზოგოს ნმიშვნელოვანი თანხები.

5. გამგეობების მიერ წარმოდგენილ ინფრასტრუქტურულ სამუშაოების გაანგარიშებაში დიდი სხვაობებია ერთიდაიგივე სამუშაოებზე მითითებულ ფასებს შორის, რაც კვლავ ტოვებს კორუფციისა და ასეულობით ათასი ლარის გაფლანგვის შესაძლებლობას. აღნიშნულის სწორად დაანგარიშების შემთხვევაში დაიზოგება ასეულობით ათასი ლარი და არ იქნება კორუფციული გარიგებების მაღალი რისკი."

2. ფრაქცია ,,ევროპულ საქართველო-თბილისის" ინიციატივით 2019 წლის იანვარში თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წარედგინა წინადადებები აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა პროგრამის გაფართოებასთან დაკავშირებით. კერძოდ - ბენეფიციართა ლიმიტის 1000 ბავშვამდე გაზრდის თაობაზე.

რადგან, თბილისის მერიის აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის მთავარ გამოწვევად კვლავ ქვეპროგრამით სარგებლობის მსურველთა, მომლოდინეთა რიგები რჩებოდა (რიგში თბილისში მცხოვრები დაახლოებით 130 ბავშვი იყო, რომელიც ან საერთოდ ვერ ახერხებს აბილიტაციის ცენტრებში სეანსებზე სიარულს, ან სეანსის საფასურს მთლიანად მშობელი იხდიდა), ფრაქცია ,,ევროპულ საქართველო-თბილისის" ინიციატივით მოხდა აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ლიმიტის გაზრდა.

3. მიმდინარე წელს ზემოაღნიშნულ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა 11 ფრაქციის სხდომა.

- ფრაქციის სხდომა გაიმართა ახლად შეკეთებული სათამაშო მოედნების, დასასვენებელი სკვერები მონიტორინგთან დაკავშრებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრის კომპეტენციის ფარგლებში მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა გამგეობებიდან, ახლად შეკეთებული სათამაშო მოედნების მდგომარეობის დადგენა/მონიტორინგის მიზნით. კორესპონდენციის შედეგად, გამოიკვეთა ლოკაციები, რომლებიც საჭიროებდა ვიზიტს და სიტუაციის ადგილზე გაცნობას. გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით შედგა კომუნიკაცია შესაბამის სამსახურებთან. ფრაქციის ინტერესის ქვეშ, ასევე მოექცა დასასვენებელი სკვერები. საკითხისადმი მიდგომა იყო იდენტური როგორიც სათამაშო მოედნების მიმართ.

- ფრაქციის სხდომები გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არაერთგზის წარმოდგენილ 2019 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით.

- ფრაქციის სხდომები გაიმართა მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებთან დაკავშირებით. აუქიონის გარეშე ჩატარებული ტენდერებისა და ამის შედეგად სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის თაობაზე.

- ფრაქციის სხდომები გაიმართა თბილისის მერიის მიერ განხორციელებული ტაქსების რეგულაციების საკითხთან დაკავშირებით.

- ფრაქციის სხდომა გაიმართა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით.

- ფრაქციის სხდომა გაიმართა ავარიულ შენობებთან დაკავშირებით; კერძოდ, 2019 წლის 28 სექტემბერს ვარკეთილში, მე-3 მ/რ, 322-ე კორპუსში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით.

4. ფრაქცია ,,ევროპული საქართველო - თბილისი"-ს წევრები ბრიფინგებით, მასმედიის საშუალებით გაკეთებული განცხადებებით ახდენენ თბილისის მოსახლეობისა და დაინტერესებული პირების ინფორმირებას თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვაზე, თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვის თაობაზე, თბილისის თვითმმართველობის ორგანოებში საკადრო პოლიტიკის შესახებ, თბილისის მოსახლეობის სოციალური დაცვის, მუნიციპალიტეტის სხვა საჭირო და პრობლემურ საკითხებზე.

5. ფრაქცია ,,ევროპულ საქართველო-თბილისის" მიერ მიერ სხვადასხვა საკითხებზე საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებს, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს გაეგზავნათ 144 მოთხოვნა.

6. ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინანადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:

- ფრაქცია ,,ევროპულ საქართველო-თბილისის" ფრაქციის წევრების მიერ, მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი პრობლემების შესწავლისა და სათანადო რეაგირების მიზნით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს გაეგზავნათ 104 წერილი.

- თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასვლითი ღონისძიებების სახით მუდმივად ხორციელდებოდა მოქალაქეებთან შეხვედრები.

- ფრაქცია ,,ევროპულ საქართველო-თბილისის“ წევრების მიერ საკრებულოს მუნიციპალიტეტის შენობაში კონსულტაცია/დახმარების გაწევის მიზნით მიღებული იქნა 204 მოქალაქე.

- 2019 წლის 24 ოქტომბერს ფრაქციების ფრაქცია ,,ევროპულ საქართველო-თბილისის“ მიერ თბილისის მუნიციპალიტატეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპულ საქართველო-თბილისის“ ოთახში შედგა ამომრჩევლებთან შეხვედრა და წლიური ანგარიშის წარდგენა.

გიორგი გაბაშვილი

დათო ჟღენტი

ელენე ოზაშვილი